

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სხდომა №1

თბილისი

15 თებერვალი 2016 წ.

ოქმი №1 /2016

სხდომას ესწრებოდნენ :

1. არჩილ ლორია (სამართლის ფაკულტეტი);
2. ლელა ნადიბაიძე (სამართლის ფაკულტეტი);
3. დავით გეფერიძე (სამართლის ფაკულტეტი);
4. ამალია არუთინოვა (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
5. ნინო ქეცბაია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
6. ბესარიონ ნაყოფია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
7. რუსუდან დევნოზაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
8. ნინო ორმოცაძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
9. ირმა ზაქარაია (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
10. კახა კვაშილავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
11. ნინო ნასყიდაშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
12. მარი ბერუაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
13. ალექსანდრე კუჭავა (სამართლის ფაკულტეტი);
14. ნინო თავართქილაძე (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
15. შალვა საველიშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
16. თამარი სიყმაშვილი (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
17. გვანცა ქართველიშვილი (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
18. ნანა ბარნაბიშვილი (თჰუ ბიბლიოთეკის უფროსი).

აგრეთვე,

პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე - რექტორი, დამფუძნებელი;
ვალერი მუხიგულაშვილი - დამფუძნებელი;
პროფესორი კახი ყურაშვილი - პრორექტორი;

ქვორუმი: 10

სხდომის თავმჯდომარე: პროფ. ნინო ორმოცაძე

სხდომის მდივანი: ასოც. პროფ. ირმა ზაქარაია

დღის წესრიგი:

1. თჰუ დებულების (მეორე რედაქცია) მოდიფიცირების შესახებ (მომხს. ნ. ორმოცაძე);
2. თჰუ შინაგანაწესის მოდიფიცირების თაობაზე (მომხს. ნ. ორმოცაძე);

1. მოისმინეს: პროფ. ნ. ორმოცაძის ინფორმაცია, რომ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 29 იანვრის № 1 გადაწყვეტილების თანახმად, თჰუ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილებები. მოდიფიცირებული დებულების პროექტი დანართი 1-ის სახით დასამტკიცებლად წარმოდგინეს წარმომადგენლობით საბჭოს. მომხსენებელმა აუდიტორიას გააცნო (წაიკითხა) რედაქტირებული მუხლები (პუნქტები, ქვეპუნქტები).

აზრი გამოთქვა: პროფ. ვ. საყვარელიძემ, როგორც დამფუძნებელ-პარტნიორმა, რომელმაც მხარი დაუჭირა მოდიფიცირებული თჰუ დებულების (მეორე რედაქცია) განახლებულ პროექტს და განაცხადა, რომ თანახმა არის დამტკიცდეს თჰუ დებულება წარმოდგენილი სახით. დებულების წარმოდგენილი სახით დამტკიცებას მხარი დაუჭირა მეორე დამფუძნებელ-პარტნიორმა ვალერიან მუხიგულაშვილმაც.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მხარი დაუჭირეს წამოყენებულ წინადადებას და გადაწყვიტეს:

1. დამტკიცებულ იქნას თჰუ დებულება (მეორე რედაქცია) დანართი NI-ს სახით;
2. თჰუ დებულების (მეორე რედაქცია) მოდიფიცირებული რედაქცია შეთანხმდეს შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ დამფუძნებელ (პარტნიორთა) კრებასთან ან ყველა დამფუძნებელ-პარტნიორთან;
3. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა, დამფუძნებელ (პარტნიორთა) თანხმობის მოპოვების შემდეგ;
4. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.

2. მოისმინეს: პროფ. ნინო ორმოცაძის ინფორმაცია, რომ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვნად განხორციელების სასწავლო პროცესის სწორად ორგანიზებისა და წარმართვის მიზნით თჰუ შინაგანაწესი უნდა მოდიფიცირდეს. მან პროექტის სახით წარმოადგინა ახალი თჰუ შინაგანაწესი (დანართი №2). ისაუბრა შეცვლილი მუხლების შესახებ და დააყენა შუამდგომლობა მისი დამტკიცების თაობაზე.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ა. ლორიამ და პროფ. ვ. კვაშილავამ

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა კენჭისყრის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტეს:

1. დამტკიცებულ იქნას მოდიფიცირებული თჰუ შინაგანაწესი (მეორე რედაქცია) დანართი 2-ის სახით;
2. ეთხოვოს თჰუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს თჰუ ვებ-გვერდზე.

თავმჯდომარე:

მდივანი:



ნ. ორმოცაძე

ი. ზაქარაია

ნ. მხარაძე